საკლასო აქტივობა მოსწავლეებისთვის

მე-3 კლასი

მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები
თემა: გამრავლების ცხრილი
მიზანი: მოსწავლემ დაისწავლოს გამრავლების ცხრილი

თამაშით სწავლა ყოველთვის სახალისოა. გთავაზობთ თამაშს, რომელიც ბავშვებს გაუადვილებს გამრავლების ცხრილის დამახსოვრებას.

შენიშვნა: თამაშში ყურადღებას გავამახვილებთ 4-დან 9-ის ჩათვლით რიცხვების გამრავლების ცხრილზე.

თამაშის აღწერა: თამაშში მონაწილეობას იღებს მინიმუმ ორი მოთამაშე. თითოეულ მოთამაშეს უნდა ჰქონდეს, კალამი, მარკერი და დანართ 1-ში მოცემული მოთამაშის სამუშაო ფურცელი (სურ. 1).



სურათი 1

თამაშისთვის საჭიროა დანართ 2-ში მოცემული „სათამაშო მოედანი“ და დანართ 3-ში მოცემული ბარათები, რომლებიც უნდა გამოიჭრას და აირიოს ერთმანეთში. ბარათების დასტა უნდა დაიდოს სათამაშო მოედნის მარცხენა (ლურჯ) ოთხკუთხედზე (სურ. 2).



სურათი 2

ერთ-ერთი მონაწილე, მაგალითად ნიკა, დასტიდან აიღებს ორ ბარათს და დადებს გამრავლების ნიშნის მარცხნივ და მარჯვნივ (სურ. 3).

სურათი 3

ნიამ უნდა დაასახელოს ნიკას მიერ დალაგებული რიცხვების ნამრავლი. ამის შემდეგ, სამუშაო ფურცელზე მან უნდა დახაზოს მართკუთხედი, რომლის ერთი გვერდის სიგრძე იქნება 6 უჯრის ტოლი, სიგანე კი – 7 უჯრის ტოლი (სურ.4).



სურათი 4

ნიამ მარკერით უნდა გააფერადოს სვეტები (ან სტრიქონები) და თან დათვალოს ექვსეულებით: – 6, 12, 18 . . . (სტრიქონების გაფერადების შემთხვევაში იგი დაითვლის შვიდეულებით) (სურ. 5).



სურათი 5

შემდეგ იგი მართკუთხედში ჩაწერს გამოსახულებას (7 × 6 =) და ძიუხეოს ექვსეულების დაჯამების შედეგად მიღებულ რიცხვს (სურ. 6).



სურათი 6

თუ ნიას მიერ თავდაპირველად დასახელებული რიცხვი სწორ პასუხს დაემთხვევა, მაშინ იგი გამოსახულების ქვეშ დასვამს „ჩიტს“. ხოლო, თუ იგი შეცდება, მაშინ გამოსახულების ქვეშ დასვამს „ჯვარს“ (სურ. 7).



სურათი 7

შემდეგ ნია ამოაბრუნებს ორ ბარათს და ნიკა დაასახელებს ნამრავლს, რომელსაც ნიას მსგავსად გადაამოწმებს (იმ შემთხვევაში, თუ რიცხვები გამეორდება ნიკამ სასურველია დათვალოს არა ექვსეულებით არამედ – შვიდეულებით).

ერთი პარტია გრძელდება სამუშაო ფურცლების შევსებამდე. გამარჯვებულია ის, ვინც მეტ სწორ პასუხს დააგროვებს.

მითითება: სასურველია თამაში გაგრძელდეს დასტაში ბარათების ამოწურვამდე. ასეთ შემთხვევაში თითოეულ მონაწილეს მოუწევს სამი სამუშაო ფურცლის შევსება.

შენიშვნა: აღნიშნული თამაში შესაძლებელია ერთდროულად ითამაშოს ორზე მეტმა ადამიანმა. ასეთ შემთხვევაში, დასტაში ბარათების ამოწურვის შემდეგ, ბარათები ხელახლა უნდა შეერიოს ერთმანეთს და გაგრძელდეს თამაში.

დანართი 1

მოთამაშის სამუშაო ფურცელი

მოთამაშე _____

N1	N2	N3	N4	N5

მოთამაშე _____

N1	N2	N3	N4	N5

დანართი 2

„სათამაშო მოედანი“



USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
RTI INTERNATIONAL
USAID BASIC EDUCATION PROGRAM

სათამაშო ბარათები

4	4	4	4	4
ოთხი	ოთხი	ოთხი	ოთხი	ოთხი

5	5	5	5	5
ხუთი	ხუთი	ხუთი	ხუთი	ხუთი

6	6	6	6	6
ექვსი	ექვსი	ექვსი	ექვსი	ექვსი

7	7	7	7	7
შვიდი	შვიდი	შვიდი	შვიდი	შვიდი

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
RTI INTERNATIONAL
USAID BASIC EDUCATION PROGRAM

8	8	8	8	8
რვა	რვა	რვა	რვა	რვა

9	9	9	9	9
ცხრა	ცხრა	ცხრა	ცხრა	ცხრა